საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
თავდაცვის ძალების
ჯარების ლოჯისტიკური
უზრუნველყოფის სარდლობა

LOGISTICS SUPPORT
COMMAND
OF DEFENCE FORCES
OF MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ.კვინიტაძის ქ.20

20 General G. Kvinitadze Str. 0112, Tbilisi, Georgia

MOD 3 19 00391529

19/04/2019

თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო
შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს
ბატონ **ლაშა ფაიქიძეს**

ბატონო ლაშა,

2019 წლის 4 აპრილის №338089 წერილის პასუხად, 2018 წლის 21 ნოემბერს გაფორმებულ №701 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გიგზავნით ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) უფროსის 2019 წლის 18 აპრილის №385114 პატაკს.

იხილეთ საფუძვლები და მიბმული ფაილი.

პატივისცემით,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის
ძალები / ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის
სარდლობა / ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის
სარდლობა / შტაბი
შტაბის უფროსი-სარდლის მოადგილე
როლანდი კიკნაველიძე

MOD 6 19 00385114

18/04/2019

ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის
სარდლობის სარდლის მოადგილეს
პოლკოვნიკ ჯ. ზალოშვილს

პ ა ტ ა კ ი

ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2019 წლის 11 აპრილის N 363074 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ 2018 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული N701 ხელშეკრულების საფუძველზე ს.ს.ი.პ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს უნდა განეხორციელებინა 9 (ცხრა) ცალი ალკოტესტის ტექნიკური მდგომარეობისა და გამართულად მუშაობის (დაკალიბრება) შემოწმება - თანხით სულ:355,50 (სამას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის.

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში შემსყიდველის მხრიდან მიწოდებული იქნა 9 (ცხრა) ცალი ალკოტესტი, სადაც პირველადი შემოწმების შემდეგ განგვიმარტეს, რომ ხელსაწყოების ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერცერთი ხელსაწყო ვერ შევიდა გაზომვის რეჟიმში, ზემოაღნიშნული ალკოტესტები დაბრუნებული იქნა უკან, რის შემდეგაც შემსყიდველის მხრიდან საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსთვის აღარ მიუმართავს.

დანართის სახით გიგზავნით მიბმულ ფაილს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების
ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის
ლოჯისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი)
ცენტრის უფროსი

პოლკოვნიკი გიორგი მადურაშვილი

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

0178, თბილისი, საქართველო, ჩარგლის ქ. №67
ტელ.: (99532) 261 25 30
ფაქსი: (99532) 261 35 00
ელ-ფოსტა: info@geostm.ge

LEPL GEORGIAN NATIONAL AGENCY OF STANDARDS AND METROLOGY

№67 Chargali str., 0178 Tbilisi, Georgia
Tel.: (99532) 261 25 30
Fax: (99532) 261 35 00
E-mail: info@geostm.ge

_______________ №_______________

KA020167298049119

N39-გ

16 / აპრილი / 2019 წ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრი (აღმოსავლეთი) ცენტრის უფროსს;
პოლკოვნიკ გიორგი მადურაშვილს.

ბატონო გიორგი,

თქვენი წერილი MOD 9 19 00349405 პასუხად გაცნობებთ, რომ № 701 21.11.2018 წ. ხელშეკრულება ითვალისწინებს 9 ცალი კონტაქტური ალკოტესტერის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება-დაკალიბრებას. თქვენი წამომადგენლის მიერ 9 ცალი ალკოტესტერი FIT - 240 წარმოდგენილ იქნა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს მიმღებში თქვენი წამომადგენლის თანდასწრებით მოხდა ხელსაწყოების პირველადი დათვალიერება - შემოწმდა ხელსაწყოების ტექნიკური გამართულობა, რის შედეგადაც ვერც ერთი ხელსაწყო ვერ შევიდა გაზომვის რეჟიმში, ხელსაწყოების ტექნიკური გაუმართაობის გამო. აღნიშნული გაუმართაობა იდენტიფიცირებული იქნა თქვენი წარმომადგენლის თანდასწრებით მიმღებ ბიუროშივე, რის გამოც აღნიშნული 9 ერთეული ალკოტესტერი თქვენმა წარმომადგენელმა წაიღო უკან.

„შემსყიდველის“ მხრიდან შემდგომში მომართვა და ხელსაწყოების წარმოდგენა აღარ მომხდარა. შესაბამისად, ხელშეკრულება № 701 - ის პირობები ვერ იქნა შესრულებული ხელსაწყოების წარმოუდგენლობის გამო.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

დავით ტყემალაძე

შიგ. № 38435/1 17 04 2019 წ.